დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ლიპარტელიანი

წევრები:

ქრისტინე ძიძიგური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ირინე თეთვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა ნანობაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მარინე მურჯიკნელი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ციცინო გობაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ინგა ანდიაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087523

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლისი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთა, სოფელი ლისი
საფოსტო ინდექსი	3300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1399?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A8%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Lisi@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 11 ივნისის MES 2 25 0000654591 და 2025 წლის 02 ივლისის MES 5 25 0000798397 ბრძანებები**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 ივლისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლისი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლისი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლისი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში წარიმართა სასიამოვნო, კომფორტულ და პროფესიონალურ გარემოში. სკოლის დირექტორს ჰქონდა თითქმის ყველა დეტალზე ინფორმაცია. მასწავლებლებთან საუბრისას იგრძნობოდა სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, მათ მიერ გაწეული საქმიანობისადმი თბილი დამოკიდებულება და საქმის სიყვარული. ვიზიტი დაწყებიდან დასრულებამდე მიმდინარეობდა შეუფერხებლად და საქმიანად. დაწესებულების წარმომადგენლები ყურადღებით ისმენდნენ ექსპერტთა შეფასებებს და რჩევებს, მათი დიდი ნაწილი გაითვალისწინეს საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლის შიდა სივრცე, დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეების ნამუშევრებით. მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო სასწავლო რესურსები და თვალსაჩინოებები ასაკის და თემის შესაბამისად, რომლებიც განთავსებულია თვალშისაცემ ადგილად. სკოლა ასევე მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებსა და კონკურსებში. მოსწავლეებს აქვთ მიღებული არაერთი ჯილდო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს ორ ცვლაში, რომ მოხდეს სასკოლო სივრცის ოპტიმალურად განაწილება.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**	სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (30.11.2025) უზრუნველყოს სკოლის შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების და შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მიღება.
3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (07.08.2027) უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე პირების, ყველა სართულზე შეუფერხებილი წვდომისთვის პანდუსის ან ლიფტის მოწყობა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	ანგარიშები ასევე განთავსდეს ონლაინ სივრცეშიც, რათა სკოლის მიერ გაკეთებული ანგარიშები, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	შეიქმნას დოკუმენტი სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი პერსონალის შეფსაებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების მექნიზმი.
3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	პერსონალთა განვითარება ეყრდნობოდეს კვლევაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რისთვისაც სკოლამ ჩაატაროს ხოლმე საჭიროებათა კვლევა.
3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება სრული პროცესი.
3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლამ გაწეროს და გააკეთოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი.

3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	შეიქმნას მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები
3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია დირექციისა და კომპიუტერული ოთახის სივრცეების გამიჯვნა, რათა კომპიუეტერებთან წვდომა იყოს შეუფერეხებელი.
3.6.3.2	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	სასურველია სკოლამ რეგულარულად და ხშირად განაახლოს სკოლის პორტალი.
3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	გაიმიჯნოს საერთო სარგებლობის სივრცეები, რათა სასკოლო საზოგადების ყველმა წევრმა შეუფერხებლად შეძლოს სკოლის რესურსით სარგებლობა.
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების	წიგნები დალაგდეს გარკვეული კატეგორიის მიხედვით და ყველა წიგნი დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

	მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი *N* 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად. დაწყებითი საფეხური- ბუნებისმეტყველება(3-6კლასი). ასევე საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში შემუშავდეს ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო. ***საზ.მეცნიერებები*** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. ***მათემატიკა*** კარგი იქნება, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მშობელი, რათა უკეთ იყოს

		გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და პრიორიტეტები. *ტექნოლოგიები* სასურველია ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*ტექნოლოგიები* სასურველია დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით. *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური* კათედრას მიეცა რჩევა გასწორდეს ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმები სტანდარტის მიხედვით) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები - ცნებები, თუმცა აქ გამონაკლისს წარმოადგენს მე და საზოგადოების III და IV კლასის კურიკულუმები, სადაც თემების მიხედვით არ მუშავდება ყველა ცნება, კათედრას ასევე მიეცა რჩევა მე და საზოგადოების III და IV კლასის კურიკულუმებში გაასწორონ ცნებები თემების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში - შუალედურ მიზნებად ასახული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის ბარათებიც საგანში თითო-თითო აქვთ წარმოდგენილი ნიმუშის სახით. III კლასის მათემატიკის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალებების სვეტში წარმოდგენილია საკითხები, გასაუბრების დროს სკოლამ გამოთქვა გასწორების მზაობა.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*ტექნოლოგიები*

		საჭიროა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების მიმართულებება უფრო მკაფიო და სტრუქტურულად აისახოს დოკუმენტში (დავალებები, შეფასებები).
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ***ესთეტიკური აღზრდა*** სასურველია შეფასების რუბრიკების თავფურცელზე დაიწეროს დავალების პირობა, რათა ნათელი იყოს, რას ითხოვს პირობა და რა საკითხებთან მიმართებით უნდა დაადასტუროს მოსწავლემ ცოდნა. შეეცადეთ შეფასების კრიტერიუმები ემიზნებოდეს პირობისეულ მოთხოვნებს და არ ატარებდეს ზოგად ხასიათს. ***სახელმწიფო ენა*** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. ***მათემატიკა***

		კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი, ასევე მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კარგი იქნება თუ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით. *ტექნოლოგიები* შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური* გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* დაწყებითი საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და

		განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. *საზ.მეცნიერებები* სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. *ესთეტიკური აღზრდა* სასურველია შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმების ქულობრივი კოეფიციენტი მკაფიოდ და გასაგებად იყოს ჩაშლილი(მაგ. 2 ქულა=0.5+0.5+0.5+0.5), რათა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ დავუკარგოთ მათ გარკვეული მიღწევები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაცილებით ეფექტურია მოსწავლისთვის მიცემული/დაბრუნებული უკუკავშირი, რაც მიზნობრივად ასახავს იმ გასაუმჯობესებელ მხარეებს, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. *სახელმწიფო ენა* კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.

ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ლაბორატორიაში არსებული ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები შეანახული იყოს სხვა ოთახში (მაგ. საპრეპარატოში). კარადები, სადაც ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები არის მოთავსებული, იყოს მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი საფარი (ამჟამად ლაბორატორიაში დგას ჩვეულებრივი მერხები და შესაბამისად, მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად, ატარებენ მხოლოდ სადემონსტრაციო ცდებს), სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი. ***ტექნოლოგიები*** სასურველია, რომ სკოლა ჰქონდეს სრულყოფილი **კომპიუტერული ლაბორატორია**, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს **წვდომა კომპიუტერულ რესურსზე** და **ინტერნეტკავშირზე.** **მოსწავლეთა რაოდენობა არ შეესაბამება რესურსების რაოდენობას:** საგაკვეთილო პროცესში თითოეულ მოსწავლეს არ ეძლევა **ინდივიდუალური მუშაობის საშუალება**, რაც ქმნის არათანაბარ პირობებს რესურსზე წვდომისთვის; **რესურსებსა და მოსწავლეთა რაოდენობას შორის ბალანსი**, რაც აუცილებელია შედეგზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საგაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი *N* 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად. დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება(3-6კლასი). ასევე საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში შემუშავდეს ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო. ***საზ.მეცნიერებები*** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. ***მათემატიკა*** კარგი იქნება, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მშობელი, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და პრიორიტეტები.
ინდიკატორი *N* 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც

		განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. *ესთეტიკური აღზრდა* სასურველია შეფასების რუბრიკების თავფურცელზე დაიწეროს დავალების პირობა, რათა ნათელი იყოს, რას ითხოვს პირობა და რა საკითხებთან მიმართებით უნდა დაადასტუროს მოსწავლემ ცოდნა. შეეცადეთ შეფასების კრიტერიუმები ემიზნებოდეს პირობისეულ მოთხოვნებს და არ ატარებდეს ზოგად ხასიათს. *სახელმწიფო ენა* სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. *მათემატიკა* კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი, ასევე მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კარგი იქნება თუ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით.

ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** საბაზო საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. ***საზ.მეცნიერებები*** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. ***ესთეტიკური აღზრდა*** სასურველია შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმების ქულობრივი კოეფიციენტი მკაფიოდ და გასაგებად იყოს ჩაშლილი(მაგ. 2 ქულა=0.5+0.5+0.5+0.5), რათა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ დავუკარგოთ მათ გარკვეული მიღწევები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაცილებით ეფექტურია მოსწავლისთვის მიცემული/დაბრუნებული უკუკავშირი, რაც მიზნობრივად ასახავს იმ გასაუმჯობესებელ მხარეებს, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ***სახელმწიფო ენა***

		კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ლაბორატორიაში არსებული ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები შეანახული იყოს სხვა ოთახში (მაგ. საპრეპარატოში). კარადები, სადაც ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები არის მოთავსებული, იყოს მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი საფარი (ამჟამად ლაბორატორიაში დგას ჩვეულებრივი მერხები და შესაბამისად, მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად, ატარებენ მხოლოდ სადემონსტრაციო ცდებს), სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*

ინდიკატორი *N* 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად. დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება(3-6კლასი). ასევე საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში შემუშავდეს ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო. ***საზ.მეცნიერებები*** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. ***მათემატიკა*** კარგი იქნება, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მშობელი, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და პრიორიტეტები.
ინდიკატორი *N* 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

		სახელმწიფო ენა სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. ***მათემატიკა*** კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი, ასევე მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კარგი იქნება თუ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** საშუალო საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული

		იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. *საზ.მეცნიერებები* სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. *სახელმწიფო ენა* კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* ლაბორატორიაში არსებული ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები შეანახული იყოს სხვა ოთახში (მაგ. საპრეპარატოში). კარადები, სადაც ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები არის მოთავსებული, იყოს მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივეის მიმართ მედეგი საფარი (ამჟამად ლაბორატორიაში დგას ჩვეულებრივი მერხები და შესაბამისად, მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად, ატარებენ მხოლოდ სადემონსტრაციო ცდებს), სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ

		ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული, ესთეტიკური, სამოქალაქო და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელსაც ჩამოუყალიბდება 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ინტეგრაციას მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს საკუთარი ღირებულებები: ურთიერთპატივისცემა, სიახლეების მიმღებლობა, გუნდურობა და თანამშრომლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების წინაშე. მისი საზრუნავი იქნება: სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა; თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების უზრუნველყოფა და მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, სკოლის მისიის ჩამოყალიბებაში ჩართული იყო სკოლის ყველა რგოლი, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობლები. სხვადასხვა ვერსიების განხილვის შემდეგ, საბოლოოდ სკოლა შეჯერდა ზემოთ წარმოდგენილ ვერსიაზე, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების გაზიარება ხდება როგორც პირისპირ შეხვედრებზე, ასევე ონლაინ კომუნიკაციით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, გასულ სასწავლო წელს ბავშვებისგან სკოლის ხელმძღვანელობისათვის შეთავაზებული იყო, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნან და დაარიგონ ბუკლეტები, რათა სასკოლო თემის წარმომადგენლებისთვის, ინფორმაციის მიწოდება კიდევ ერთი საშუალებით მოხდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია, როგორც თვალსაჩინო ადგილას, ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. სკოლას ასევე აქვს Facebook გვერდი და სკოლის პორტალი, სადაც განთავსებულია სკოლს მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლა საქართველოს მთლიანობისათვის 1993 წელს ბრძოლაში დაღუპული, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის შალვა გოგშელიძის სახელობისაა, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისთვის". სკოლა დაარსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებით. სახელწოდებაში აღნიშნულია მისი

სტატუსიც. სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის დასახელება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისია
- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის სახელის შეცვლის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს

სასკოლო საზოგადოების, თემის და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;

დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან:

ა) სკოლის დირექციის წარმომადგენლები (მაგ: ბუღალტერი);

ბ) სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (მაგ: შესყიდვები, საქმისწარმოება და სხვ)

გ) მასწავლებლები/წარმომადგენლები კათედრებიდან;

დ) მოსწავლე/წარმომადგებელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან;

ე) მშობელი;

ამავე დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი, თუმცა სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N8 სხდომაზე. ვიზიტის პროცესში, სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, აქტივობების განხორციელება დაგეგმილია რამდენიმე მიმართულებით: სკოლაში არსებული მომსახურებების გაუმჯობესება; რისთვისაც მასწავლებლებს შექმნილი აქვთ სამოქალაქო განათლების კლუბი და მუშაობენ როგორც ონლაინ, ასევე ფიზიკურ გარემოში.; თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურად დანერგვა; ფორმალური და არაფორმალური განათლების ხარისხის გაუმჯობესება; სკოლის ორგანიზაციული განვითარების უზრუნველყოფა. დოკუმენტში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N8 სხდომაზე. ვიზიტის პროცესში, სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ასევე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, რომელიც იმუშავებს სკოლის მომდევნო წლების სტრატეგიულ გეგმაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ნაბიჯ- ნაბიჯ უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე. დოკუმენტში გათვალისწინებულია SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილი ფაქტორები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, გეგმა ასევე ითვალისწინებს პროცესების დახვეწას და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას, ასევე ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ცვლილების შესახებ დირექტორის ბრძანება.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი,

ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება, მოსდევს შეფასება. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს, რომლის შედეგების საფუძველზეც იგეგმება მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმაში კორექტირება, თუ გამოიკვეთა ამის საჭიროება, საკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებლი მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. მისიაში, ხედვაში, ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების პროცესი იწყება შესაბამისი ინიცირებით. ინიცირება ხორციელდება დირექტორის სახელზე. ინიცირებისას ინიციატორმა უნდა განსაზღვროს ცვლილებების საფუძველი. დირექტორი ცვლილებების შესახებ ინიცირების განაცხადს აცნობს სამუშაო ჯგუფის წევრებს და განუსაზღვრავს ვადას რეაგირებისთვის. სამუშაო ჯგუფის წევრები სწავლობენ ცვლილების საჭიროებას და ინიციატორს აწვდიან ინფორმაციას ინიცირების მიღების ან მიუღებლობის შესახებ შესაბამისი დასაბუთებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა აღნიშნავს, რომ არსებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გაზიარებულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმებში, სადაც საუბარია გაწეული მუშაობის შეფასებაზე, სკოლა იაზრებს რომ შედეგების გასაჯაროება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გეგმავს შედეგების განთავსებას საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ სივრცეში. სკოლის ვებ-გვერდის შემოწმებისას არ აღმოჩნდა მასზე განთავსებული ანგარიშები. რჩევის სახით სკოლას ეცნობა, ანგარიშები ასევე განთავსდეს ონლაინ სივრცეშიც, რათა სკოლის მიერ გაკეთებული ანგარიშები, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პედსაბჭოს ოქმი
- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია
- 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. ასევე დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით არსებობს სააპელაციო კომიტეტი. კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია მათი ფუნქციები, რაც ასახულია დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში და ასევე სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა თუ სამუშაო გეგმებში. თუმცა სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული სტრუქტურულ სქემაზე არ არის ასახული მოსწავლეთა თვითმმართველობა და სააპელაციო კომიტეტი. ასევე არის განსხვავება სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, რომელიც სკოლას აღწერაში არ აქვს წარმოდგენილი მაგრამ ასახულია ვებ-გვერდზე განთავსებულ სტრუქტურაზში. მაგ. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, დამლაგებელი დარაჯი და ა.შ. სკოლას შემშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება, სადაც აღწერილია თანამშრომელებისადმი განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავის კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თანამშრომელთა სამუშაო სპეციფიკა აღწერილია მათ სამუშაო ხელშეკრულებებში. პროცესების მართვა ხორციელდება სკოლის მისიისა და მიზნების შესაბამისად. არ ხდება ფუნქციათა გადაფარვა და ფუნქციები განაწილებულია ისე, რომ შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედსაბჭოს სამუშაო გეგმა
2. მრჩეველთა საბჭოს ოქმი
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
4. საშტატო განრიგი;
5. გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
7. სკოლის ვებ-გვერდი;
8. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა მოქმედი კანონმდებლობით, დადებული შრომითი ხელშეკრულებებითა და შინაგანაწესზე დაყრდნობით ახორციელებს პერსონალის მართვას. თანამშრომელთა შორის გადანაწილებულია ფუნქციები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისებისა და სანქცირების წესი. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებების, შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსების მიხედვით. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და განსაზღვრავს პერსონალის სამსახურში მიღების წესს, პროცედურებს, მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. სკოლის პერსონალი წარმოადგენს სკოლაში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, რომლებიც სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების შესაბამისად ინდივიდუალურად და გუნდურად ახორციელებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის მოთხოვნები ვრცელდება როგორც ძირითად შტატში მომუშავე და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების მოზიდვა, სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების დელეგირება ხდება დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სასკოლო საზოგადოების დისციპლინური პასუხისმგებლობა და წახალისება. სკოლას აქვს შემუშავებული ცალკე დოკუმენტის სახით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. სხვა დოკუმენტებათ ერთად, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მართვის როგორც პრევენციული, ასევე ინტერვენციული პოლიტიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესი, ობიექტურობის, გამჭვირვალეობის, საჯაროობის, კოლეგიალობის გათვალისწინებით. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ცხადდება კონკურსი ვებგვერდზე https://teacherjobs.ge/, სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. იწერება საკონკურსო კომისიის ბრძანება, განისაზღვრება კომისისს წევრთა შემადგენლობა. საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე გადაარჩევს შემოსულ განაცხადებს გამოცხადებული კრიტერიუმების შესაბამისად. გასაუბრებაზე მოსაწვევად ხორციელდება კონტაქტი აპლიკანტთან. კონკურსის დასრულების შემდეგ საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ სკოლის პერსონალი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციისათვის. სკოლას ვიზიტის დროს ჰყავდა 18 მასწავლებელი (1 წამყვანი, 17 უფროსი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის ეფექტიანობას განსაზღვრავს პერსონალის მაღალი ჩართულობა და თანამშრომლობითი გარემო, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, კოლეგიალობასა და გუნდურობაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სკოლის თანამშრომლები მუშაობენ გუნდურად. ეხმარებიან ერთმანეთს სირთულეების დაძლევაში. მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს Facebook გვერდი სადაც განთავსებულია ყველა იმ აქტივობის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო-ვიდეო მასალა, რაც ხორციელდება სკოლის ბაზაზე (მშობელთან დადებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით). კოლეგები პერიოდულად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რომლებზეც ხდება სასწავლო აქტივობების, მეთოდების, სტრატეგიების დანერგვაზე დაკვირვება, შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- კონკურსის ბრძანება;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას ერთიანი დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. სხვა და სხვა დოკუმენტებში არის გაწერილი ისეთი საკითხები, რომლებიც აღნიშნულს უზრუნველყოფენ, თუმცა ეს არ არის სისტემური და საჭიროებს მკაფიო მექანიზმების განსაზღვრას. თუმცა დირექტორს გააჩნია საკუთარი ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა აუცილებელი გახადა სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა, რაც დაეხმარება სკოლას, შექმნას განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა. სკოლის აზრით, სასკოლო საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭვირვალე, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალით, ჩანდეს, რომ სკოლის მიერ შექმნილი შეფასების მექანიზმი უპასუხებს სასკოლო საზოგადოების მთავარ კითხვას, რატომ არის მნიშვნელოვანი საჭიროებების შეფასება, რა არის სკოლის მოლოდინი, რა გავლენას იქონიებს შეფასება კლასის, სკოლის დონეზე, ვინ არიან ჩართული შეფასებაში, როგორ შეგროვდება მონაცემები, როგორ აისახება შემდეგ სამომავლო გეგმებში. სკოლის აზრით შეფასება, უნდა გახდეს როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის - შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებული უნდა იყოს კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. დირექტორის აზრით, სასკოლო საზოგადოების წევრებს უნდა ჰქონდეთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები მათთვის ეს დოკუმენტი უნდა გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების, თვითგანვითარების ხელშემწყობი. სასკოლო საზოგადოებას კი დაეხმაროს იმაში, რომ გაიაზროს და

სტრატეგიულ მიმართულებებად აქციოს გამოვლენილი საჭიროებები, სკოლის ფუნქციონირებისა და პერსონალის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ საკითხების გათვალისწინებით სამომავლოდ სკოლას აქვს ჩარჩო დოკუმენტი, რომლის გამოყენებაც 2024-2025 სასწავლო წლის შესაფასებლად იგეგმება. სკოლას მიეცა რჩევა შეიქმნას დოკუმენტი სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი პერსონალის შეფსაებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების მექნიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე; მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები, რომლებსაც უზრუნველყოფს შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით, ასევე, მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში თავადაც გეგმავენ ინდივიდუალურად წარმატებული სპეციალისტების მოსმენას/გამოცდილების გაზიარებას. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის კვლევა სკოლაში არ ჩატარებულა, თუმცა საჭიროებების დადგენა, ხდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებით, ინტერვიუებით როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. სკოლას მიეცა რჩევა პერსონალთა განვითარება ეყრდნობოდეს კვლევაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რისთვისაც სკოლამ ჩაატაროს ხოლმე საჭიროებათა კვლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში ძლიერია პედაგოგთა მხარდაჭერა. წამყვანი პედაგოგები დახმარებას უწევენ კოლეგებს ამ პროცესის წარმართვაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი თანამშრომლების ინფორმირებას ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა იცოდნენ, რა ვალდებულებები გააჩნიათ, რომ არ დარჩეთ პასუხგაუცემელი კითხვები. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლის დირექცია მასწავლებლებს აწვდის იმ სიახლეების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, რაც დაეხმარება მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში ხდება ახალი კადრების მიღება თბილ და დემოკრატიურ გარემოში. წარდგენა და გაცნობა პედაგოგიური კოლექტივისათვის, კათედრებზე შეხვედრა და სამუშაო გეგმის გაცნობა. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშიერებული ინიციატივები, კონკრეტულად მასწავლებელების ან მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან წამოსული ინიციატივა: პროექტებში ჩართულობა, სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, არაფორმარული განათლების აქტივობებში მონაწილეობა, რომელშიც მასწავლებლები სრულ მხარდაჭერას იღებენ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესითა და სასკოლო კოლეგიალური კულტურით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით, კათედრების მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით. სკოლას აქვს შესყიდვების გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ცალკე შემუშავებული დოკუმენტი, თუმცა სხვადასხვა დოკუმენტების შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს. სკოლას მიეცა რჩევა რომ შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება სრული პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას არ აქვს გაწერილი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი, თუმცა სკოლის თანამშრომლებმა და ხელმძღვანელობამ იციან მათი ფუნქცია მოვალეობები და სკოლაში დამკვიდრებული არაფორმალური წესების და კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებენ. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება სკოლის მიერ აღწერილია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაწესი). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა

და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. პროცესების მდგრადობისათვის სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლამ გაწეროს და გააკეთოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის პროცედურების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საჩივრის განხილვის პროცედურას და აზუსტებს უფლებამოსილი ორგანოების მიერ განსახორციელებელ საქმიანობას. დოკუმენტით განსაზღვრულია: სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განცხადების და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზრულია მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები და სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. ასევე დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის მიერ სკოლის სამოქმედო გეგმით განსახორციელებული აქტივობების გეგმის ნიმუში, სადაც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები. ამავე დოკუმენტში ჩამოთვლილია და ბმულბი მითითებულია ისეთ დოკუმენტებზე, როგორიცაა: ბავშვთა უფლებათა კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ კანონი და სხვა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების უფლებათა დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი

- პედსაბჭოს ოქმი -დისციპლინარული კომიტეტის შექმნაზე
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი:
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლას არ წარმოუდგენია სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ცალკე დოკუმენტად შექმნილი წესი, რომელიც არეგულირებს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესსა და პირობებს. თუმცა სხვადასხვა დოკუმენტებში აღნიშნული მექანიზმები გაწერილია და სკოლას აღნიშნული მექანიზმები გააჩნია. სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას უზრუნველყოფს სოციალური ქსელით დაფიქსირებულ მოსაზრებებით, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესენჯერ-ჯგუფებით და თიმსის გუნდებით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, მნიშნელოვანია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლას მიეცა რჩევა შექმნას მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ყველა მასწავლებელი ჩართულია მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც, თავის მხრივ, ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით შტაბი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის 23/04/2025-ის წერილი (MIA 1 25 01209746), საიდანაც ირკვევა, რომ სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

   დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის 19 მაისის მიღება ჩაბარების აქტი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან, რომლის მიხედვითაც სკოლას გაეწია მომსახურება შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება. აღნიშნული დოკუმენტიდან ვერ ირკვევა მოხდა თუ არა გეგმის შეთანხმება.

   სკოლამ ასევე წარმოადგინა 18/03/2025-ის წერილი, რომლის მიხედვითაც სკოლის დირექტორი სთხოვს ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, უშუამდგომლოს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების განვითარების სააგენტოს წინაშე, რათა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ

ბიუროდან გამოითხოვოს სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების და შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა. აღნიშნული დასკვნა ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი. აღნიშნული დოკუმენტების მიღება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს 2025 წლის 30 ნოემბრისთვის.

სკოლას, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი უწყების მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის მიხედვითაც სახანძრო უსაფრთხოების კუთხით სკოლას არ არის სრულად დაცული და არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს. **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში არის სამედიცინო მომსახურების სივრცე (სამედიცინო კაბინეტი) სკოლას აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს ექიმი, სკოლაში შექმნილია სანიტარული ნორმების მექანიზმების დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა ჯანმრთელობის და პირადი უსფრთხოების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით. ასევე სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელსაც ევალება არასასკოლო დროს სკოლის დაცვა და უსაფრთხოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას გააჩნია პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმი. ასევე სადამრიგებლო კლასსაათებზე ხდება საკითხის შესაბამისი

აქტივობების განხილვა. სკოლის დირექტორი თვლის, რომ აუცილებელია სკოლის თითოეული თანამშრომელი და განსაკუთრებით ყველა მასწავლებელი იყოს უნარიანი განახორციელოს ძალადობის ნიშნების ამოცნობა, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა და სათანადო რეაგირება. ვიზიტის დროს სკოლის თანამშრომლებმა გაიხსენეს მაგალითი, როგორ მიმართა სკოლის ერთ-ერთა მოსწავლემ მის პირად და ოჯახთან დაკავშრებულ საკითხზე. რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის მოსწავლეებს, მათი ცხოვრების მნიშნელოვანი პრობელემის გადაჭრისათვის სკოლა ერთ-ერთ მოწინავე მხარდამჭერ ინსტიტუციად მიაჩნიათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში უზრუნველყოფილია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის არის აუცილებელი. სკოლას გააჩნია სკოლის გეგმარებასა და ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი. დასუფთავების გრაფიკის დადგენისას, გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. მომარაგებულია სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული "პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები", სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. სკოლას ასევე ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამხარაულის დასკვის მოთხოვნის წერილი
- .შესათანხმებელი „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“
- სანიტარული ნორმების მექანიზმების დოკუმენტი
- ბრძანება “საგანგებო სიტმართვის გეგმა”
- მიმართვა სახანძრო უსაფრთხოებაზე
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- დამლაგებელთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
- ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 4775 კვ.მ. ფართი, საიდანაც შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 454 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, ძირითადად რეაბილიტირებულია და გამართულია. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ასევე, გამართული აქვს 8 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის გადაადგილებისთვის საჭირო მექანიზმი (ლიფტი და პანდუსი), სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. ამასთანავე, მათთვის გამოყოფილია რესურს ოთახი და შესაბამისი ადამიანური პერსონალი (სპეციალური მასწავლებელი). სკოლას ჰყავს სათანადო რაოდენობის ადამიანური რესურსი. სკოლაში დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. სარეგისტრაციო ჟურნალს აწარმოებს ბიბლიოთეკარი. სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალი დანომრილია და შენახულია დაკეტილ კარადაში. სკოლაში არის მოსწავლისთვის საჭირო ინდივიდუალური მერხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლა საკუთარ თვითშეფასებაში აღნიშნავს და ვიზუალური დათვალიერებითაც დასტურდება, რომ სკოლაში არ არის თანამედროვე სტანდარტების საბიბლიოთეკო სივრცე, ფართის არქონის გამო, სკოლაში არ ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, აჭურვილი თანამდროვე კომპიუტერებით, ლეპტოპებით, პროექტორით და ინტერნეტით. სკოლაში შექმნილია ციფრული

განვითარების გეგმა, რომელშიც აღწერილია სკოლის შემდგომი განვითარება, სკოლას მინიჭებული აქვს შმაგი გოგშელიძის სახელი და ფოიეში მოწყობილია სტენდ, რაც მოზარდებში იწვევს და პატრიოტიზმისა და სიამაყის გრძნობის ჩამოყალიბებას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინვენტარით, ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით. სკოლას აქვს რესურს ოთახი, სადაც სკოლის სპეციალური მასწავლებელი პერიოდულად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან. კომპიუტერების ოთახი და დირექტორის კაბინეტი ერთ სივრცეშია მოწყობილი, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და საკლასო ოთახი, ასევე ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო. შესაბამისად, სასკოლო რესურსებით თავისუფლად გამოყენება ეზღუდებათ როგორც მოსწავლეებს ისე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს. სკოლაში არის 8 საკლასო ოთახი. რის გამოც სსწავლება ორ ცვლიანია. რჩევა: გაიმიჯნოს საერთო სარგებლობის სივრცეები, რათა სასკოლო საზოგადების ყველმა წევრმა შეუფერხებლად შემ₾ოს სკოლის რესურსით სარგებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ბიბლიოთეკრი ახორციელებს სერვისებს დადგენილი წესის მიხედვით, სკოლას არ აქვს ცალკე გამოყოფილი საბიბლიოთეკო სივრცე, ბიბლიოთეკა განთავსებულია სამასწავლებლოში და სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. ბიბლიოთეკაში წიგნები არ იყო განლაგებული თემატური ან ანბანური სისტემით, ასევე ზოგიერთი წიგნი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. რჩევა: წიგნები დალაგდეს გარკვეული კატეგორიის მიხედვით და ყველა წიგნი დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის პირველ სართულზე მისასვლელად მოწყობილია ბეტონის პანდუსი, თუმცა ეტლით მოსარგებლე ადამიანი დამოუკიდებლად ვერ მოხვდება მეორე სართულზე, რადგან სკოლას არ გააჩნია მეორე სართულზე წვდომისათვის ლიფტი ან პანდუსი. აღნიშნული საკითხის გადაჭრა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს 2027 წლის 07 აგვისტოსთვის. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი და სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სოციო-კულტურული თვალსაზრისით სკოლაში შექმნილია ჯანსაღი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და განწყობის შექმნას. სკოლას გააჩნია სპორტ-დარბაზი, ფოიე და ეზო. ამ სივრცეებში იმართება სასკოლო ღონისძიებები (სასწავლო წლის დაწყება-დასრულების, საშემოდგომო, საახალწლო, დედის დღისადმი მიძღვნილი, დედაენის დღე, მხიარული სტარტები და ა.შ.) ასევე სხვადასხვა სკოლებთან სასწავლო-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. სკოლას აქვს მოგებული სხვადასხვა ჯილდოები და აქვთ წარმატებები სპორტულ ღონისძიებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სივრცეების ფოტოები
- ლისის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- ბიბლიოთეკის დებულება და სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას; სკოლაში მოქმედი 5 კომპიუტერია, აქედან 3 ლეპტოპია. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული პროცესებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში ასევე არის 1 პროექტორი, 1 პრინტერ-სკანერის აპარატით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დირექციის ოთახი და კომპიუტერული ოთახი მოთავსებულია ერთ სივრცეში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. რჩევა: სასურველია დირექციისა და კომპიუერული ოთახის სივრცეების გამიჯვნა, რათა აღნიშნული წვდომა იყოს შეუფერეხებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა
2. ინვენტარიზაციის შედეგები;
3. ბიბლიოთეკის დებულება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. სხვადასხვა ბაზებში ასახული იყო სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური skolebi.emis.ge პორტალზე განთავსებული სკოლის პროფილით, ასევე სკოლას გააჩნია სოციალური ქსელი Facebook-ის გვერდი, ასევე საკომუნიკაციო არხად იყენებს სკოლის ოფიციალურ ელ. ფოსტას Lisi@mes.gov.ge. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლის ვებ გვერდზე ან სრულად არ იყო ზოგი

ინფორმაცია წარმოდგენილი ან იყო მოძველებული და არ იყო განახლებული. რჩევა: სასურველია სკოლამ რეგულარულად და ხშირად განაახლოს სკოლის პორტალი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები. ასევე ინფორმაციის მისაღებად და გასაცემად, სკოლა იყენებს სკოლის ოფიციალურ ელ. ფოსტას. ასევე არაოფიციალური კომუნიკაციის საშუალებებს, მესენჯერის და ვაცაპის ჯგუფები. პირისპირ და სატელეფონო კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, წარმოადგენს უკუკავშრის მიღების საშუალებებს. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სკოლა გეგმავს შესაბამის ქმედებებს, აქტივობებს და ღონისძიებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი skolebi.emis.ge პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,

ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო დოკუმენტაცია. თუმცა ზოგიერთი დოკუმენტი (ინფორმაცია) მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი
- სკოლის ელექტრონული ფოსტა
- სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. სკოლას აქვს დამატებითი შემოსავლები წრეობრივი მუშაობის საფუძველზე. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი ბუღალტრის მონაწილეობით ადგენს მომდევნო წლის ბიუჯეტს, რომელშიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხები, ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერესები (კათედრები, პედაგოგები, მიმართვები სხვადასხვა რესურსის შესაძენად). წელიწადში ერთხელ დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სკოლას შემოსავლის სახით აქვს როგორც ვაუჩერული დაფინანსება, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტის დაგეგმვის დროს სკოლა ითვალისწინებს პრიორიტეტულ მიმართულებებს და სავარაუდო ხარჯებს, რომლებიც დგება წინა წლის გამოცდილებებეზე დაყრდნობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება შესაბამის სამსახურს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;

- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში, ასევე ასახულია მოსწავლის უფლებები. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების,

ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. სკოლამ ასევე წარმოადგინა დამრიგებლის დებულება სადაც გაწერილია მოსწავლის ზრუნისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლობის დებულებაში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის, რითაც დასტურდება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წესში გაწერილია: მოსწავლეთა ჩარიცხვის ვადები; წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, მოსწავლის სტატუსის შეჩერების პირობები, და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   მოსწავლეთა მობილობასთან და ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმება მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ექსპერტების მიერ შესწავლილი ბრძანებები, შეესაბამებოდა სკოლის და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულს წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლაში ვიზიტის მომენტისთვის დამატებითი მომსახურება არ ხორციელდებოდა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას აწვდის მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელი;
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;
- საერთო ბრძანებები.
- ელექტრონული ბაზების ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. წესში გაწერილია: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია,მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, ასევე წარმატებული და დეაბტაციის ნიშნები და რეკომენდაციები ადაბტაციისას. ასევე დეადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ასევე დეადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები მოსწავლეების მშობლებს, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი“ ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და

ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ რეკომენდაციები/კონსულტაციები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ფოიეს, ეზოს სპორტულ დარბაზს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რაიონულ კონფერენციაში „მდგრადი განვიტარების მიზნები". სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება, სადაც გაწერილია რემედიაციის პროგრამის ამოქმედების ეტაპები. ასევე განსაზღვრულია რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირების წესი, პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა, სარემედიაციო სივრცის მოწყობა, რესურსებით უზრუნველყოფა დ ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია, ინტერვიუ) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რასაც შემდგომში სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ტრანზიციის დებულება;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა როფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრა ჩატარებული აქვთ პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს. ეს გამოცდილება არის მოსწავლეთ აგამოკითხვები, მშობლებთან შეხვედრები, ინტერვიუები და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომდევნო გეგმების დასახვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება, რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდგეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. თითოეული სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (წრეობრივი მუშაობა ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებს წრე: ნორჩი მკითხველი“, მათემატიკური წრე: „ლოგიკუმი“; სკოლაში განხორციელდა პროექტები: გეოგრაფიის მასწავლებელის ორგანიზებით პროექტი „ტბა ქალაქის გულში“. საბაზო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ხორციელდება პროექტი მეზობელ სკოლა ბრიტანულ-ქართულ აკადემიასთან ერთად: „ცხოვრების ჯანსარი წესი“. ასევე საშუალო საფეხურზე განხორციელდა პროექტი „ქართული ფოლკლორი“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასახულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წრეობრივი სწავლების დოკუმენტები
- პროექტები
- ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა **20.12.2024 N71 ბრძანებით** დამტკიცებული დოკუმენტი ,, კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგია“, რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. მასწავლებლეთან დაგასურებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს, ამის საშუალებით კი შეიმუშავებენ რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებს. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; მშობლებთან კურიკულუმის გაზიარება მშობელთა კრებების საშულებით ხდება. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს

მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- პედ.საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- გასაუბრება კათედრის წამომადგენელებთან;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). **რჩევა: ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად. დაწყებითი საფეხური- ბუნებისმეტყველება(3-6კლასი), საბაზო და საშუალო საფეხური- ფიზიკა, ქიმია** **ასევე საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში შემუშავდეს ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო.**

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრეზე ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. თუმცა, კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი მრავალფეროვანია, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრა იმუშავებს და შეეჯერდება საერთო დიზაინზე. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა: იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების სამივე სფეხურის კურიკულუმები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მკაფიოდ ჩანს საწავლო თემები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები, შინაარსისანი კონტექსტის მქონე

	დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მრავალფეროვანი რესურსები. კურიკუკულუმებით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა/ები საშუალებას იძლება დაიგეგმოს და გათვალისწინებულ იქნეს: საგანთა შორის ინტეგრირებული სწავლება, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირებული პროექტები, მაკროცნებების გაზრებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი(პრიორიტეტული მიმართულებები) და ა.შ.; **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცსის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შესაბამისი რესურსებით; ასევე კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები არის მრევალფეროვანი და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებაზე მორგებული. კონტექსტ მაგალითები ახლოსაა მოსწავლეთა ყოველდღიურობასთან, შესაბამისად ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,

	საჭიროებებს და შესაძლებლობებს. მათემატიკის კათედრაზე, სამივე საფეხურზე გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩრთულობა, რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს შეხვედრის დროს. **რჩევა: კარგი იქნება, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მშობელი, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და პრიორიტეტები.** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, პროექტული სწავლება, ფრენბურთი, ფეხბურთი და ლაშქრობა) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი მასალების საფუძველზე და მასწავლებლთან გასაუბრებიდან **შემუშავებული კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**. ამის დასაბუთება შეიძლება შემდეგი: გამოიყენება **აქტიური სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ ამოცანებს, მაგალითად: ქმნიან ბროშურებს, იკვლევენ ინტერფეისებს, იყენებენ ღრუბლოვან სერვისებს, ქმნიან პროგრამულ კოდს და ა.შ., **შემოქმედებითობა და პრობლემებზე დაფუძნებული სწავლა: გეგმავენ და ქმნიან თამაშს, რაც ბავშვებში** ავითარებს ანალიზსა და დამოუკიდებელ აზროვნებას. დავალებების იდეები დაკავშირებულია მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგ. "შექმენი ინტერფეისის დიზაინი შენს ტელეფონზე" ან "დაამზადე ბროშურა საინტერესო თემაზე"), რაც აუმჯობესებს ცოდნის გადატანის უნარს რეალურ ცხოვრებაში. კურიკულუმი მოიცავს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა უსაფრთხო ონლაინ ქცევა და ციფრული ანგარიშების მართვა, კურიკულუმი **დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლის პროცესის საფუძველზე,** რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას, შემოქმედებითობას, პასუხისმგებლობასა და რეალურ

	სამყაროში ცოდნის გამოყენებას. შეფასებებში. გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება, ინტერესი და შესაძლებლობა. **რჩევა:** • **სასურველია ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტმაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, შერჩეული და განხორციელებული აქვთ დავალები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. ხელისშემწყობ გარემოებად იკვეთება სადამრიგებლო პროგრამებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და უზრუნველყოფს სტანდარტით განსზღვრული საფეხურეობრივი შედეგების მიღწევას. საგნბრივი პროგრამები შესაძლებლობას იძლევა შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებებისა და პროექტების საშუალებით დამუშავდეს, როგორც საგნობრივი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, ასევე გააქტიურდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, პრიორიტეტული მიმართულებები. კურიკულუმების შემუშავების დროს სკოლას/კათედრას კარგად აქვს გააზრებული პროგრამების შემუშავება/გადამუშავების მნიშვნელობა, რაც მკაფიოდ გამოიხატა მუსიკის კურიკულუმებში დამატებული თემით: ქართული ხალხური ფოლკლორი(ტრადიციული მუსიკა/სიმღერა). მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული თემის დამატება განაპირობა მოსწავლეთა დაინტერესებამ და ქართული ფოლკლორის უდიდესმა კულტურულ-ისტრიულმა მნიშვნელობამ. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მოწოდებული მასალების გაცნობის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური სწავლების ფარგლებში ცდილობენ მიზნობრივად უზრუნველყონ მოსწავლეების დასწრება სკოლის/რაიონის ფარგლებს გარეთ არსებულ კულტურულ და სახელოვნებო სივრცეებში/დაწესებულებებში, რაც კიდევ უფრო ეფექტურს ხდის შესასწავლი საკითხების სიღმისეულად გაგება-გააზრებას და მიღებული ცოდნის რეალურ/ცხოვრებისულ კონტექსტებთან დაკავშირებას. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. ველა თემაში ასახულია შუალედური მიზნები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>
მათემატიკა	მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების

	ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში. მე-3 კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტის სვეტი, რომელსაც შემაჯამებელი დავალების იდეა ჰქონდა სათაურად, დასაკორექტირებელი იყო მასში საკითხების ჩამონათვალი და ელექტრონული რესურსების ბმულები იყო წარმოდგენილი, მასწავლებლემა გამოთქვეს მზაობა აღნიშნული დეტალის გასწორებასთან დაკავშირებით. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი). <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
ტექნოლოგიები	**კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი აშკარად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.** ის მოიცავს უნარებზე ორიენტირებულ, ინოვაციურ, მოსწავლეზე მორგებულ, ციფრულად

	ინფორმირებულ და პრაქტიკულ სწავლებას, რაც აკმაყოფილებს გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და მიზნებს. სწავლება ორიენტირებული ისეთი კომპეტენციების განვითარებაზე, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა და ციფრული კომპეტენცია. ციფრული ტექნოლოგიების უსაფრთხო და ეფექტურად გამოყენება. სწავლება არის პრაქტიკაზე ორიენტირებული და რეალურ ცხოვრებასთან დაკაშირებული რაც ნათლად ჩანს : მოსწავლეები ქმნიან პროექტებს (მაგ. ანიმაციები, ბროშურები, თამაშები). იყენებენ ცვლადებს, პირობით ოპერატორებს, ღილაკებს — რაც ავითარებს ლოგიკურ და ალგორითმულ აზროვნებას.თანამშრომლობენ, აკეთებენ პრეზენტაციებს და უზიარებენ მასწავლებლებს შედეგებს, რაც ემსახურება კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. იყენებს ელ.ფოსტას, ღრუბლოვანი სერვისებით მუშაობას, ანგარიშების მართვას და ინფორმაციის გაზიარებას. ქმნიან თამაშებს, დავალებები აძლევს მოსწავლეს თავისუფლებას აირჩიოს თემა, პერსონაჟი, დიზაინი — რაც აძლიერებს მოტივაციას და იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. **რჩევა:** **სასურველია დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით.** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვის. ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმები, სადაც საგნობრივი სტანდარტით შემოთავაზებულ თემებთან ერთად, კათედრას დამატებული აქვს სახელმძღვანელოდან ამოღებული თემები . **(რჩევა - კათედრას მიეცა რჩევა გასწორდეს ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმები სტანდარტის მიხედვით)**

	კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები - ცნებები, თუმცა აქ გამონაკლისს წარმოადგენს მე და საზოგადოების III და IV კლასის კურიკულუმები, სადაც თემების მიხედვით არ მუშავდება ყველა ცნება, კათედრას ასევე მიეცა **რჩევა მე და საზოგადოების III და IV კლასის კურიკულუმებში გაასწორონ ცნებები თემების მიხედვით**. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად ასახული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის ბარათებიც საგანში თითო-თითო აქვთ წარმოდგენილი ნიმუშის სახით. III კლასის მათემატიკის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალებების სვეტში წარმოდგენილია საკითხები, გასაუბრების დროს სკოლამ გამოთქვა გასწორების მზაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო შესასწავლი თემების ყველა ძირითადი საკითხის მიმართ განსაზღვრული იყო ძირითადი რესურსის (გრიფირებული სახელმძღვანელოს) გვერდები, დამატებით რესურსებთან დაკონკრეტებული ელექტრონული მისამართები. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს, რუკებს და ა.შ. სამწუხაროდ, სკოლა მდიდარი არ არის დამხმარე სასწალო რესურსებით, მაგრამ კურიკულუმის ჩარჩოსი ასახულია კომპლექსური დავალებების დამუშავებისათვის დამხმარე რესურსები. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და

	ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის წევრები ერთად განიხილავენ თემებს, რესურსების ეფექტიანობას. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული ენის) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების და მოსასმენი აპარატურის საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ნაჩვენები რესურსები(ძირითადი, დამხმარე) სრულად უზრუნველყოფს სტადარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სკოლას/კათედას შერჩეული და დამტკიცებული აქვს, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე ბეჭდური, ციფრული და სამინ ისტროს შემოთავაზებული რესურსები. მასწავლებლები კათედრის დონეზე მუდმივად ახორციელებენ სასწავლო რესურსების გადახედვას და მოსწავლეთ ინტერესებზე მორგებული რესურსების შერჩევა/უზრუნველყოფას. მასწავლებლებთან საუბღში გამოიკვეთა, რომ მუდმივად ახორციელებენ ალტერნაგტიული სასწავლო რესურსების მოძიებას, შესწავლას და სასწავლო პროცესზე მორგებული საგანმანათლებლო კონტენტების ნაკრების შექმნას. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ

	მასწავლებლები ქმნიან და იყენებენ მატერიალურ რესურსებს, ასევე იყენებენ სხვადასხვა საგანამნათლებლო პლათფორმებს _ ყოველივე ეს ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები, ხელს უწყობენ მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების მიღწევას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და მზაობის შესაბამისი რესურსები. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, რომელთა ბმულებისც მრავლად არის წარმოდგენილი თითქმის ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ზოგიერთ კლასში აქტიურად იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე

	(დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>
ტექნოლოგიები	**კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მიზნობრივი, მრავალფეროვანი და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და შედეგებს**. ისინი უზრუნველყოფენ, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ მიიღოს თეორიული ცოდნა, არამედ განავითაროს პრაქტიკული, ციფრული და პრობლემის გადაჭრის უნარები — რაც წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ ამოცანას. • **სასწავლო აქტივობების და რესურსების თანხვედრაშია და** უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული **სწავლის შედეგების მიღწევას:** ყოველი თემატური ბლოკს თან ახლავს კონკრეტული დავალებები და რესურსები (მაგალითად: კომპიუტერი, ინტერნეტი, OneDrive, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი). • **სწავლა მიმდინარეობს პრაქტიკული საქმიანობის მეშვეობით** კურიკულუმში ყოველი საკითხი დაკავშირებულია კონკრეტულ პროდუქტთან, მოსწავლეები არამარტო სწავლობენ თეორიას, არამედ ქმნიან რეალურ ციფრულ პროდუქტს. • ყველა თემატურ ერთეულში ხაზგასმულია, რომ **ელექტრონული რესურსები** — იქნება ეს ონლაინ პლატფორმა, პროგრამული უზრუნველყოფა • **ტექნიკური და ციფრული საშუალებების სრულფასოვანი ჩართვა** ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რომლებიც განისაზღვრება როგორც ეროვნული გეგმის, ასევე კონკრეტული საგნის მიზნებში. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და ზოგ შემთხვევებში მითითებულია გვერდები. ასევე მითითებული აქვთ ელექტრონული ბმულები, რომლებსაც როგორც გასაუბრებით გამოჩნდა აქტიურად იყენებენ სწავლების პროცესში. დამატებით დოკუმენტაციაში სკოლამ ასევე მოგვაწვდინა დამატებითი რესურსები რომლებიც წარმოდგენილი აქვთ პლაკატების სახით. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სრულად არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. განხილული, გაანალიზებული, შერჩეული, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ჩაშენებულია კურიკულუმებში. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელსაც ითვალისწინებენ პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, ასევე ახდენენ შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. აქედან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები(რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით.

	სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის სხვადასხვა სტილის მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას.ასევე კათედრაზე პროექტის განხორციელების პრაქტიკა , ისგ -ს შემუშავების პრაქტიკა; სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დოკუმენტი, რომლის მიხედვით „სკოლა“ დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. ეს წესი ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს რემედიაციის დოკუმენტი.რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ინტერვენციები. პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის; რემდიაციის პროგრამა ხორციელდება დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე, ნებისმიერ საგანში, საჭიროებისამებრ; რემდიაციის პროგრამის განხორციელება იწყება საგნის მასწავლებლის მიერ მოწოდებული ყოველმხრივ სანდო ინფორმაციის საფუძველზე (ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებას, დიაგნოსტირებას, ანალიზს და ა.შ. რაოდენობრივ-თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით); <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კათედრას აქვს სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დოკუმენტების/მტკიცებულებების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო თემებზე მუშაობის დროს მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის დავალებებით ცოდნის დადასტურების შესაძლებლობა(შინაარსიანი კონტექსტის მქონე

	დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტი, ტესტური დავალებები და ა.შ.), მასწავლებლები მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ცდილობენ მათი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით შეურჩიონ დავალებები, რაც თავისმხრივ ქმნის ინკლუზიურ და მოსწავლეზე მორგებულ გარემოს, ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათ ავტონომიკურობას და საკუთარ სწავლა-სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღებას. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლაში მულტიკულტურული გარემოა, რომელსაც ითვალისწინებენ პედაგოგები კურიკულუმში, მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას, თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ტარდება სადიაგნოსტიკო წერები და ამ მასალის ანალიზის საფუძველზე იქმნება კურიკულუმები. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიადუალური სასწავლო გეგმა. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
მათემატიკა	მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლაში აქტიურად არის დანერგილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს უკვე შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალების შესახებ. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული დავალების ნიმუში. რჩევა: დამატებით გამოგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ მოსწავლის ინდ გეგმაში მოსწავლის ინიციალებია მითითებული, თუმცა ფაილს სახელად სსსმ მოსწავლის სახელი და გვარი

	აწერია, სასურველია სხვა დროს მსგავს დეტალებს მიაქციონ ყურადღება რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც საჭირო იქნება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებელმა გამოთქვა მაღალი მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გააკეთებენ ინდ გეგმას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
ტექნოლოგიები	**კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი ხელს უწყობს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და დიფერენცირებულ სწავლას.** ის ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ტემპს, იძლევა მრავალფეროვან ამოცანებს და სხვადასხვა გზას სასწავლო შედეგების მისაღწევად — რაც სრულად შეესაბამება ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნებს. o ინკლუზიურ და დიფერენცირებული მიდგომები მოცემულია კურიკულუმში:**აქტივობების მრავალფეროვნება , მოსწავლეზე მორგებული თემები და დავალებები** დავალებების სტრუქტურა და შუალედური მიზნები ისეთია, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფურად, რაც **სხვის მხარდაჭერასა და თანატოლთა თანამშრომლობაზეა გათვლილი.** o ერთდროულად არის მარტივი და შედარებით რთული ამოცანები, დავალებები დაკავშირებულია მოსწავლის ცხოვრებასთან და გამოცდილებასთან , შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სხვადასხვა კომპონენტს, რაც **არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური ცოდნის შეფასებით** და აძლევს ყველა მოსწავლეს შანსს, საკუთარი ძლიერი მხარე წარმოჩინოს. **რჩევა:** **საჭიროა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების მიმართულებება უფრო მკაფიო და სტრუქტურულად აისახოს დოკუმენტში (დავალებები, შეფასებები)**

	<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, თუმცა გასაუბრებით როგორც გამოჩნდა დაწყებით საფეხურზე არ ერიცხებათ სსსმ მოსწავლე. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინფორმაცია სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. **რჩევა: (სამივე საფეხური, ყველა საგანი)** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო

	პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. ;დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში,ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის/კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად უჩვენებს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, პრინციპებს და ამოცანებს. ჩემს მიერ შესწავლილმა განმსაზღვრელმა და განმავითარებელმა რუბრიკების ნიმუშებმა და მასწავლებლებლებთან გასაუბრებამ მკაფიოდ გამოიკვეთა ის კონცეფცია, რაზე დაყრდნობითაც იწარმოება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ფუნქციური უნარების განვითარებისა და საგნობრივი სამიზნე ცნებების გაგება/გააზრების სიღმეების გამოვლენის მიმართულებებით. მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითერებელი შეფასების რუბრიკებს, ზეპირსიტყვიერ კომენტარს, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარებს/რუბრიკებს. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები თავად ღებულობენ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მონაწილეობას.

	რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების თავფურცელზე დაიწეროს დავალების პირობა, რათა ნათელი იყოს, რას ითხოვს პირობა და რა საკითხებთან მიმართებით უნდა დაადასტუროს მოსწავლემ ცოდნა. შეეცადეთ შეფასების კრიტერიუმები ემიზნებოდეს პირობისეულ მოთხოვნებს და არ ატარებდეს ზოგად ხასიათს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. **რჩევა - სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კომენტარები.. **რჩევა: კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი, ასევე მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კარგი იქნება თუ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
ტექნოლოგიები	**მოცემული მასალების საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის არის განვითარებაზე ორიენტირებული, მრავალმხრივი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და სწავლა-სწავლების პროცესის ორგანული ნაწილი.** წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები არის უფრო ზოგადია, რაც ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ თემაზე მორგებულ შეფასებას **რჩევა:** **შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია დონეების მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. **რჩევა - გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის,**

	დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
უცხოური ენების კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია

- *უცხოური ენების კათედრის ოქმი*
- *უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა*
- *უცხოური ენების (ინგლისური,რუსული) საგნობრივი კურიკულუმები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *ინგლისური ენის პროექტი ,,DEVELOPING COMUNICATION AND SPEAKING SKILLS"*
- *რემედიაციის პროგრამის დებულება*
- *ისგ*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი*
- *პროფესიული განვითარება რეფლექსია*
- *ურთიერთდასწრება. რეფლექსია*
- *საათობრივი ბადე*
- *სახელმძღვანელოების ჩამონათვალი*
- *ფიზიკური აღზრდა და სპორტი პროექტი: ჯანსაღი ცხოვრების წესი*

საზ. მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

- *მეთოდოლოგია*
- *რემედიციის დებულება*
- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *ისგ გეგმა*

საბუნებისმეტყველო მეცნ.

- *საგნობრივი კურიკულუმები(ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა,ბიოლოგია)*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *ისგ გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ შექნილ ჩარჩოებში საბუნებისმეტყელო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები. **რჩევა:სამივე საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.** **ინდიკატორი შებამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისია. კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

	განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **<u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ : კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა , რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი(სახელმძრვანელოები; ლიტერატურა, ელ.რესურსი) ,მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა;კათედრაზე განხორციელებული პროექტის პრაქტიკა, ისგ-ს პრაქტიკა; მოსწავლეთა რემედიაციის და ადაპტაციის პროგრამები. **<u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასუბრები შედეგად განისაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოქნილად იმოქმედონ შემხვედრ საჭიროებებზე და კურიკულუმით გათვალისწინებულ თემებში/საკითხებში შეიტანონ გარკვეული ცვლილებები. სასწავლო თემებში მუშავდება ის საკითხები, კონტექტს მაგალითები, რესურსები და დავალებები, რაც მოსწავლეებს თემის გაზრებაში დაეხმარება. სასწავლო თემებზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ იკვეთება ის ნაბიჯები, აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები, გარე ღონისძიებები, რაც ემსახურება სასკოლო კურიკუმისა და სტანდარტით განსაზღვრული შედეგები მიღწევას. **<u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და

	ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **<u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა. სკოლას წარმოდგენილი აქვს დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი წერტების ანალიზის ფორმები, რომელთა იყენებენ მომდევნო აქტივობების დაგეგმვისას. კათედრამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნა მე-6 და მე-9 კლაის დიაგნოსტიკური მუშაობის ტესტი და მისი ანალიზის ფორმა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, სადამრიგებლო პროგრამა, კოლეგის გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი. **<u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა

	სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. <u>**ინდიკატორი შებამისობაშია.**</u>
ტექნოლოგიები	**სასწავლო პროცესი გეგმიურად და თანმიმდევრულად არის აგებული სკოლის კურიკულუმის შესაბამისად.** იგი ითვალისწინებს სასწავლო მიზნებს, თემატიკას, აქტივობებს, რესურსებსა და შეფასებას — რაც ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტების უმნიშვნელოვანესი **კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი** მკაფიოდ აგებულია სასკოლო კურიკულუმის სტრუქტურის შესაბამისად და მოიცავს ძირითად ელემენტებს: • **საგანი, კლასი, დროის განაწილება (35 საათი)** • **თემატური ბლოკები:** ცნება – თემა – საკითხი/საკითხთა კლასტერი • **კონტექსტი და მაგალითები** – სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებასთან • **დავალებების იდეები და შუალედური მიზნები** – განსაზღვრულია, რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ თემის ათვისების შემდეგ • **რესურსები –** სპეციფიკურად მითითებულია კომპიუტერი, ინტერნეტი, ღრუბლოვანი სერვისები, საგანმანათლებლო რესურსები და სხვ. სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით. <u>**ინდიკატორი შებამისობაშია.**</u>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას მითითებული აქვს 1-6 კლასებში, ქართულსა და მათემატიკაში დიაგნოსტიკური მუშაობა, რომელთა ანალიზსაც იყენებენ მომდევნო სასწავლის კურიკულუმის დაგეგმვისას. კათედრამ ნიმუშის სახით წარმოადგინა IV კლასის ქართულის დიაგნოსტიკური მუშაობის ტესტი და მცირე ანალიზი.

	ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, სადამრიგებლო პროგრამა, კოლეგის გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. <u>ინდიკატორი შეგამისობაშია.</u>

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით უსმენენ და ეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, ფილმების ჩვენება-განხილვა, სასწავლო ექსკურია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით(შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრამ შეიმუშავა ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, როგორც ცოდნის, ასევე ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისათვის. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ

	განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. თუმცა კათედრას დასახვეწი აქვს კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლებიც უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელბთან გასაუბრებით დგინდება **ინდიკატორთან შესაბამისობა.** **<u>რჩევა</u>: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე.**
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას.კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კრიტერიუმები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ ითვალისწინებს თემის ფარგლებში დასამუშევებელი სამიზნე ცნებებისა და ფუნქციური უნარების კომბინირებულად აწონვის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კომპონენტებს/კრიტერიუმებს, შესაბამისად მათთვის წინასწარ არის ცნობილი რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდებიან და რა მოთხოვნებზე დაყრდნობით მოხდება ქულების განაწილება. სკოლას დანერგილი აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რაც უდავოდ ჩანს შემოთავაზებულ შეფასები რუბრიკების გაცნობისა და მასავლებლებთან გასაუბრების დროს. **რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმების ქულობრივი კოეფიციენტი მკაფიოდ და გასაგებად იყოს ჩაშლილი(მაგ. 2 ქულა=0.5+0.5+0.5+0.5), რათა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ დავუკარგოთ მათ გარკვეული მიღწევები. ამ მონაცემებზე**

	დაყრდნობით გაცილებით ეფექტურია მოსწავლისთვის მიცემული/დაბრუნებული უკუკავშირი, რაც მიზნობრივად ასახავს იმ გასაუმჯობესებელ მხარეებს, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია შემოქმდებით დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებლებს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. **რჩევა: კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, სკოლა ცდილობს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რჩევა: კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს,

	ასევე კარგი იქნება შემუშავდე შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დიახ, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის ძირეულ კრიტერიუმებს** — რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და შეფასების თანამედროვე მიდგომებთან თანხვედრაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლას **20.12.2024 წლის N68 ბრძანებით** დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმნეტის თანახმად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირებია სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელები როტაციის შესაბამისად.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;*
- *შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *სასწავლო პროექტები;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *შეფასების მასალები;*

საზ. მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

- *მეთოდოლოგია*
- *რემედიციის დებულება*
- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *ისგ გეგმა*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება მრავალფეროვან რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. ამის მტკიცებულებაა შემოქმედებით დავალებებში მოსწავლეების ნამუშევრები. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებს შორის არსებული პროექტები. მიუხედავად დამხმარე სასწავლო რესურსების სიმცირისა, მასწავლებლები ყოველთვის იყენებენ მთ ხელთ არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სასწალო პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესურსების გამოყენებას კომპლექსური დავალების დროს, რაც მოსწავლეებში დიდ დაინტერესებას იწვევს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და

	მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები ითვალისწინებს, როგორც ძირითად, ასევე დამხმარე რესურსებს. არსებობს ციფრული რესურსებიც. მოსწავლეებს შეუძლიათ სასწავლო პროცესში გამოიყენონ მრავალფეროვანი და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსები. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ხშირად თავად ქმნიან მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ რესურსებს(ელექტრონული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, ასევე სკოლამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წატმოადგინა მოსწავლეთა მონაწილეობით შექმნილი მატერიალური რესურსების ფოტოსურათები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს

	ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების სრულად გამოყენება სასწავლო პროცესში მეტნაკლებად შესაძლებელია არსებული ინფრასტრუქტურის და ტექნიკური უზრუნველყოფის წყალობით. • კომპიუტერული ლაბორატორია არაა აღჭურვილი საკმარისი ტექნიკით; • ინტერნეტ კავშირი, მიეწოდება მცირედი ხარვეზებით რაც აუცილებელია ონლაინ პლატფორმებთან და სასწავლო ვიდეოებთან წვდომისთვის; • სკოლა უზრუნველყოფილია პროექტორით, რაც ამარტივებს მასალის პრეზენტაციას და კოლაბორაციულ მუშაობას. **კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები მოიცავს:** • ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული პლატფორმები: საოფისე პროგრამები: დამხმარე სახელმძღვანელოები: ▪ რეკომენდირებული მასალები და ინტერნეტ რესურსები, რომელიც მორგებულია ასაკობრივ ჯგუფებს **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლის დამტკიცებაც ასახულია კათედრის სხდომის ოქმში, ციფრული და ბეჭდური რესურსები. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისათვის არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება, რაც შეზღუდავს ხელმისაწვდომობას სკოლაში არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებზე. მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ ყველა რესურსს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრა მუდმივად ახდენს სასწავლო რესურსების გადახედვა/შერჩევას და სკოლის ადმინისტრაციულ ნაწილთან შეთანხმებას. როგორც მასწავლებლებთან საუბარში გაირკვა ამ კუთხით ითვალისწინებენ წინა სასწავლო წლის მანძილზე დაგროვილ საუკეთესო გამოცდილებებს, სასწავლო პროცესში გამოვლენილ სირთულეებს/საჭიროებებს და მოსწავლეთა ინტერესებს. სასწავლო რესურსების შესახებ საჭიროების შემთხვევაში კათედრა ადგენს შესაბამის ოქმს, სადაც მკაფიოდ ჩანს რესურსების ჩამონათვალი და ის არგუმენტები, რაც ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	დამხმარე რესურსების ვალიდურობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავს კათედრა, როგორც პედაგოგება სეხვედრის დროს არნიშნეს, რსურსის შერჩევისას ითვალისწინებენ მის უსაფრთხოებას, მოსწავლეთა

	ასაკს და იმას თუ რამდენად შეუწყობს ის სასწავლო მიზნების მიღწევას. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ტექნოლოგიები	**სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას და გამოყენებას ისე, რომ ისინი პასუხობენ ვალიდაციის პრინციპებს: შესაბამისობას, მიზნობრიობას, პრაქტიკულ გამოყენებადობას და შედეგზე ორიენტირებულობას.** გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შეესაბამება სასწავლო მიზნებს და პროგრამას; • ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას; • არის სანდო, ასაკთან და მოსწავლის შესაძლებლობებთან ადაპტირებული; • დადასტურებულია მისი ეფექტიანობა პრაქტიკაში. დამხმარე რესურსები შერჩეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მჭიდროდ უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატიკას, მაგალითად: • **დამხმარე სახელმძღვანელოები** მასალები; • **საჯარო პლატფორმები,** რომლებსაც ან სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა" უწევს ზედამხედველობას, ან არის საერთაშორისოდ აღიარებული (code.org, scratch.mit.edu). **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **რჩევა: ლაბორატორიაში არსებული ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები შეანახული იყოს სხვა ოთახში (მაგ. საპრეპარატოში). კარადები, სადაც ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები არის მოთავსებული, იყოს მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივეის მიმართ მედეგი საფარი (ამჟამად ლაბორატორიაში დგას ჩვეულებრივი მერხები და შესაბამისად, მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად, ატარებენ მხოლოდ სადემონსტრაციო ცდებს), სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი.** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში, ასევე შესაძლებელია, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება. სკოლაში არის რუკები, ატლასი, გლობუსი და სხვ. რესურსი კურიკულუმის განხორციელებისათვის. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების , მოსასმენი აპარატების საშუალებით

	უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლაში არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვევტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	მოსწავლეთა რაოდენობა და მატერიალური ბაზა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს აქტიურ სწავლებაში — რაც აკმაყოფილებს როგორც ეროვნულ სტანდარტს, ისე ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს მოთხოვნებს. **სკოლას არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა.** **რჩევა:** • **სასურველია, რომ სკოლა ჰქონდეს სრულყოფილი კომპიუტერული ლაბორატორია, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს წვდომა კომპიუტერულ რესურსზე და ინტერნეტკავშირზე.** • **მოსწავლეთა რაოდენობა არ შეესაბამება რესურსების რაოდენობას: საგაკვეთილო პროცესში თითოეულ მოსწავლეს არ ეძლევა ინდივიდუალური მუშაობის საშუალება, რაც ქმნის არათანაბარ პირობებს რესურსზე წვდომისთვის; რესურსებსა და მოსწავლეთა რაოდენობას შორის ბალანსი, რაც აუცილებელია შედეგზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად.** **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულია სულ - 18 მასწავლებელი. აქედან 1 პედაგოგს აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 17 პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი - მათ შორის ერთი არის სპეციალური მასწავლებელი; პედაგოგებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;*
- *ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*

უცხოური ენების კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

- *უცხოური ენების კათედრის ოქმი*
- *უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა*
- *უცხოური ენების (ინგლისური,რუსული) საგნობრივი კურიკულუმები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *ინგლისური ენის პროექტი,,DEVELOPING COMUNICATION AND SPEAKING SKILLS”*
- *რემედიაციის პროგრამის დებულება*
- *ისგ*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი*
- *პროფესიული განვითარება რეფლექსია*
- *ურთიერთდასწრება. რეფლექსია*
- *საათობრივი ბადე*
- *სახელმძღვანელოების ჩამონათვალი*
- *ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*

საბუნ. მეცნ. საფ.

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *გრიფირ. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი*
- *დაწყებითი კათედრის საერთო მტკიცებულებები :*
- *1-4 კლასის კურიკულუმები*
- *კათედრის სხდომის ოქმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დიაგნოსტიკურის ტესტები და ანალიზი ქართულში*
- *რესურსები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები*
- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *კოლეგის გაკვეთილის შეფასება*

სახელმწიფო ენა:

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *კათედრის სხდომის ოქმები*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა სხვადასხვა ტიპის დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე სისტემატიურად ხდება კურიკულუმების შეფასება და მონიტორიგნი - რამ გაამართლა? რა არის გასაუმჯობესებელი? რის განხორციელება ვერ შეძლეს. სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის განვითარებისა ჯგუფი და სკოლის დირექცია. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორიგნი და შეფასება ეხმარება მათ გამოკვეთილი ხარვეზებისთვის დაგეგმონ ინტერვენციები, გადაამუშაონ კურიკულუმები და გადაჭრან არსებული პრობლემები. 2025-2026 სასწავლო წელს გეგმავენ ამავე მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა და არსებული პრაქტიკა გააგრძელონ, საჭიროებისამებრ დაკვირვების საფუძველზე- პროცესში გაუმჯობესონ ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრებისა და დირექციის დისკუსიის საფუძველზე გამოიკვეთება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. მასწავლებლები ერთმანეთის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებენ მონიტორინგს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმონ. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად/ორგანოდ თვლიან ხარისხის მართვის ჯგუფს, ასევე იგეგმება კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები;*
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *კათედრის წევრებთან გასაუბრება;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმyის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო

კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის წევრებთან გასაუბრება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 19.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **დავით ლიპარტელიანი**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქრისტინე ძიძიგური

კობა დეკანაძე

ქეთევან ცირეკიძე

ირინე თეთვაძე

ზესიკ ზერაძე

ციცინო გობაძე

ხათუნა ნანობაშვილი

ხათუნა ფანცულაია

მარინე მურჯიკნელი

ინგა ადიაშვილი